საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

# ყველაზე მოწყვლადი პირებისა და თემების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საქართველოში

**პროექტის სახელწოდება:** ყველაზე მოწყვლადი პირებისა და თემების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საქართველოში

**დონორი:** BFDW - ფონდი „პური მსოფლიოსათვის“

**მიზანი:** საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობა და გაძლიერება

**განხორციელების/სამუშაო პერიოდი:** 01.01.2018- 31.12.2020

**გეოგრაფიული არეალი:** კახეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი, სამეგრელო, შიდა ქართლი, აჭარა, გურია, მცხეთა-მთიანეთი, თბილისი

**სამიზნე ჯგუფები:** სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეკომიგრანტები, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლების მაცხოვრებლები, ქალები, დასაქმებულები და არაკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით დაზარალებული პაციენტები.

**პროექტის ფარგლებში სამიზნე რეგიონებში ორგანიზაცია იმუშავებს შემდეგი მიმართულებებით:**

- სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში;

- ყველაზე მოწყვლადი პირებისა და თემების უფლებების დაცვა და მყისიერი, ხელშესახები შედეგების მიღწევა სოციალური, ეკონომიკური, კულტურული უფლებების სფეროში, მძლავრი გენდერული განზომილებით;

- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა დარღვევების მიმართ მოსახლეობის წინააღმდეგობის გაზრდის მიზნით;

- ადგილობრივ დონეზე შემოსავლის მომტანი აქტივობების ხელშეწყობა და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა სიღარიბით გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევების შესამცირებლად.

**პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების მოსალოდნელი შედეგები:**

- მოწყვლადი ჯგუფების უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტის ფორმირება;

- ქართული კანონმდებლობის გაუმჯობესება სოციალურ-ეკონომიკური უფლებრივი მდგომარეობის გაჯანსაღების კუთხით;

- ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე უკეთ ინფორმირებული საზოგადოება.